

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 1 მარტის ბრძანებით შექმნილი  
სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი N1

ქ. დედოფლისწყარო

16 აგვისტო 2023 წელი

2023 წლის 16 აგვისტოს 16 საათზე ჩატარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ნიკოლოზ ჯანიაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი - „სამუშაო ჯგუფის“ თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები: ელენე ბაიაშვილი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, მარინა შეითნიშვილი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - მუდმივი წარმომადგენელი, სოლომონ ღორაშვილი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი - მუდმივი წარმომადგენელი, დოდო ხუნაშვილი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი - მუდმივი წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა: სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2024-2027 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები) შედეგების მოწონების შესახებ.

## მომხსენებელი ელენე ბაიაშვილი

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა კენჭი უყარა, თუ ვინ არის მომხრე, დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

სხდომაზე დამსწრე ჯგუფის წევრები თანახმა არიან, დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის #283 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსმა ქ-ნ ელენე ბაიაშვილმა წარმოადგინა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

ქ-ნ ელენე ბაიაშვილის მიერ აღინიშნა, არსებული საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად, საფინანსო სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. დოკუმენტში სხვა ინფორმაციასთან ერთად განსაზღვრულია 2024-2027 წლებში ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პრიორიტეტებზე და ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

აღინიშნა, რომ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნება გადაიხედოს 2024-2027 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სთხოვა სამუშაო ჯგუფის წევრებს კენჭი ეყარათ, თუ ვინ არის მომხრე, მოწონებული იქნეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2024-2027 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები

კენჭის ყრის შედეგად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით

სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა: მოწონებული იქნეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში და ეთხოვოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს:

საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით:

- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შემდგომ საფინანსო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებს, ა(ა)იპ-ებს და შპს-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.
- მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურებმა, ა(ა)იპ-ებმა და შპს-ებმა, საფინანსო სამსახურს საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით დადგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ამასთან, ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით განსაზღვრული წესის შესაბამისად. კერძოდ, მოთხოვნილი გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.


დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ


ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე


 /ნიკოლოზ ჯანიაშვილი/

სამუშაო ჯგუფის წევრები:

 /ელენე ჯანიაშვილი/

 /მარინა შეითნიშვილი/

 /სოლომონ ღორაშვილი/

 /დოდო ხუნაშვილი/